



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების  
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა  
შპს „კეონი აკადემია“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

თეა მაისურაძე

ქეთევან გელაშვილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „კეონი აკადემია“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405306119

სახე:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

**II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა**

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეონი აკადემია“** მიერ ს/კ 405306119 ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 ივნისის ბრძანება N502 საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:


- ა) ქეთევან ჯანელიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე)
- ბ) თეა მაისურაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)
- გ) ქეთევან გელაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი, რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან. **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეონი აკადემიაში“** ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 10,11,12 ივლისს ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. # 20 დ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია. მათ შორის, ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელშეკრულებები. მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, შემოწმდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურა. შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დათვალიერებულ იქნა სამედიცინო დახმარების პუნქტი და სხვა. შედგა ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

ვიზიტის ბოლო დღეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი. შეთანხმეს ძირითადი საკითხები. დასასრულ, შედგა დასკვნითი შეხვედრა კოლეჯის დირექტორთან და შეჯამდა სამი დღის მუშაობის შედეგები.

ვიზიტი განხორციელდა დღის წესრიგის შესაბამისად და ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)

შევსებულია ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

მდგომარეობა (ახალი/ არსებული)	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	შენიშვნა- ნაგებობების ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადა სხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში)
ახალი	80	2	42	377 მ <sup>2</sup>	ერთ მისამართზე: ქ. თბილისი ქავთარაძის # 20 დ

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
<b>1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები</b>	<b>მუხლი 6</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა	<b>მუხლი 6 / პუნქტი ა)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



	<p>შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p>			
<p>1.2</p>	<p>დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.</p>	<p>მუხლი 6 / პუნქტი ბ)</p>	<p><input checked="" type="checkbox"/></p>	<p><input type="checkbox"/></p>
<p>1.3</p>	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და</p>	<p>მუხლი 6 / პუნქტი გ)</p>	<p><input checked="" type="checkbox"/></p>	<p><input type="checkbox"/></p>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



	კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	მუხლი 6 / პუნქტი დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 6 / პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<b>2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი</b>		<b>მუხლი 7</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან	მუხლი 7 /	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



	მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	<b>პუნქტი ა)</b>		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	<b>მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	<b>მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	<b>მუხლი 7 / პუნქტი ბ)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	<b>მუხლი 7 / პუნქტი გ)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო	<b>მუხლი 7 /</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)





	ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	პუნქტი დ)		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორექსიონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და	მუხლი 7 / პუნქტი თ)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



	სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	<b>მუხლი 7 / პუნქტი ი)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
<b>3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი</b>		<b>მუხლი 8</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	<b>მუხლი 8 / პუნქტი ა)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	<b>მუხლი 8 / პუნქტი ბ)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის	<b>მუხლი 8 / პუნქტი გ)</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)





<p>აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>			
--	--	--	--

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

**V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

ვიზიტის დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**


1.2. -დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგზე დატანილ იქნას წელი.



1.4 -დაზუსტდეს „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მე-14 მუხლის სათაური შინაარსის შესაბამისად.

2.3 - სასურველია ელექტრონული წიგნების თითო ეგზემპლარი დაცული იყოს ბიბლიოთეკაში ამობეჭდილი სახით.

**VII. დაწესებულების მისია**

აკადემიის მისიაა თმისა და სილამაზის მომსახურების სფეროში ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადება/გადამზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „კეონი აკადემია“ შეიქმნა 2018 წელს პროფესიონალური საერთაშორისო ბრენდების - „KEUNE Haircosmetics“ და „ LCN“ -ოფიციალური წარმომადგენლობის ურთიერთობის შედეგად. დაწესებულებას სურს მოიპოვოს „თმისა და სილამაზის მომსახურების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების - „თმის მომსახურებისა“ და „ფრჩხილის მომსახურების“ განხორციელების უფლება.

შპს „კეონი აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-14 ბრძანებით, ხოლო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“, დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-15 ბრძანებით.

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესი“, (დამტკიცებული შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-13 ბრძანებით) რომლის თანახმად, პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი. შესაბამისად, პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების წესისამებრ.

თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს - „თმის მომსახურება“ და „ფრჩხილის მომსახურება“, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. სასწავლო გეგმაში დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, რომელიც არ აღემატება 40 საათს.

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დ მემორანდუმი შპს Beauty Life-თან ( აღნიშნული ფირმა ფლობს სილამაზის სალონებს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და რეგულირების მიზნით. შპს Beauty Life იღებს ვალდებულებას, რომ იგი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მიიღებს 40 პროფ. სტუდენტს, რომლებიც შეუფერხებლად გამოიყენებენ სალონების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. განხორციელდა ვიზიტი საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე შპს „Beauty Life“-ს ორ სალონში (მისამართი: თამარაშვილის ქ. 4ა და ალ. ყაზბეგის გამზ. 11), სადაც შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან. ორივე სალონი იძლევა პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების საშუალებას.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის წესი და საწარმოო პრაქტიკის დღიური.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-14 ბრძანებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“;
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-15 ბრძანებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“;
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-13 ბრძანებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის წესი;
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 25.01.2019 წლის #1-08 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესით;
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 11.02.2019 წლის #1-10 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის წესით;
- პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულებით(15 მარტი 2019) შპს Beauty Life, ს/კ204557639;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პირადი გასაუბრებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე - <https://keuneacademy.ge/images/catologue.pdf>

კატალოგში ასახულია კოლეჯის დამფუძნებელი კომპანიის ისტორია, კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, მოცემულია ინფორმაცია პარტნიორი კომპანიების შესახებ, სწავლის მსურველთათვის საჭირო დოკუმენტაციისა და სტუდენტური სერვისების შესახებ. ანონსის სახითაა ასახული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციების, მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვება სურს დაწესებულებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის დიზაინი არის ძალიან დახვეწილი, თანამედროვე, გაჯერებულია რეალური სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალით. კატალოგზე არ არის მინიშნებული თუ რომელი წლისაა იგი, რაზეც ვესაუბრეთ ხარისხის უზრუნვეყოფის მენეჯერს, რომელმაც განგვიმარტა, რომ ვინაიდან პირველი წელია, ამის გამო არ მოხდა ამ ინფორმაციის მიწერა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით
- დაწესებულების ვებგვერდი - <https://keuneacademy.ge/images/catologue.pdf>




**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**რეკომენდაცია:**

- დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგზე დატანილი იქნას წელი.

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:   
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:    
 (თბილისი, 2019)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 15.02.2019 წლის #1-14 ბრძანებით დამტკიცებული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „თმის მომსახურება“ და 15.02.2019 წლის #1-15 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფრჩხილის მომსახურება“, სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს - „თმისა და სილამაზის მომსახურება“ ”Hair and Beauty Services”.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით:
  - “თმის მომსახურება”
  - “ფრჩხილის მომსახურება”
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით „თმისა და სილამაზის მომსახურება“ ”Hair and Beauty Services”.


**შეფასება:**



- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები დარეგულირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მართვის წესი“(დამტკიცებული შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 25.01.2019 წლის #1-08 ბრძანებით ) (მუხლი 9 - აპლიკანტთა განაცხადების განხილვა და სტატუსის მინიჭება; მუხლი 12 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/ შეწყვეტა; მუხლი 27- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; მუხლი 28-პროფესიულ სტუდენტთა გადასვლა სხვა სასწავლებელში მობილობის წესით; მუხლი 29- პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა სხვა სასწავლებლიდან მობილობის წესით; მუხლი 30- შიდა მობილობა; მუხლი 31- პირის მიერ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესი და პეოცედურა; მუხლი 32-პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები; მუხლი 33 - პირის მიერ ფორმალური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)



აღიარების თაობაზე ინფორმირება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა; მუხლი 34 -პირის მიერ მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი; მუხლი 35 -არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მამიებლად ცნობა და აღიარების კომისიის შექმნა; მუხლი 36 -არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საგამოცდო კომისიის შექმნა.

„სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მე-14 მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხებს, სათაურში კი წერია შეჩერება/შეწყვეტა. რეალურად შეწყვეტის რეგულაცია მოცემულია 27-ე მუხლში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა), ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 25.01.2019 წლის #1-08 ბრძანებით დამტკიცებული, სასწავლო პროცესის მართვის წესით

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია


**რეკომენდაცია:** დაზუსტდეს „სასწავლო პროცესის მართვის წესის“ მე-14 მუხლის სათაური შინაარსის შესაბამისად.



**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მართვის წესი“, **მუხლი 14- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება**, რომლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

- ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის, დაწესებულება ვალდებულია, გააფორმოს ხელშეკრულება/მემორანდუმი სხვა პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)



საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე დაწესებულებაში არსებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა შიდა მობილობის წესით;

გ) თუ ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტების პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ჩამორთმევის შემთხვევაში, ხორციელდება მხოლოდ ამ მუხლის 1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით დადგენილი ღონისძიებები.

პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისათვის კოლეჯს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს საზოგადოებრივ კოლეჯთან - Natali Academy. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან კომუნიკაციისას დადგინდა, რომ მათ მიმართეს საჯარო კოლეჯებს მემორანდუმის გასაფორმებლად (აღსანიშნავია, რომ საჯარო კოლეჯები მხოლოდ თმის მომსახურების პროგრამებს ახორციელებენ). იმ მოტივით, რომ კერძოსა და სახელმწიფო კოლეჯებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესები განსხვავდება, საჯარო კოლეჯებმა თავი შეიკავეს მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება „Natali Academy“, ეს კოლეჯი ახლა გეგმავს ანალოგიური მოდულური პროგრამების დანერგვას. „კეონი აკადემია“ იღებს ვალდებულებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამების “თმის მომსახურება”, “ფრჩხილის მომსახურება” შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ამ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დაასრულებინებს პროგრამას მიღევად რეჟიმში.


**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**


- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი - Natali Academy ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (1 აპრილი 2019 წ);
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 25.01.2019 წლის #1-08 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(თბილისი, 2019)

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის 13.02.2019 წლის #1-11 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის მართვის ინსტრუქცია, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფასა და კონტროლს დაწესებულება განხორციელებს დემინგის ციკლის მიხედვით. ინსტრუქციაში ნათლადაა ჩამოყალიბებული მექანიზმები, რისი საშუალებითაც მოხდება საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების მონიტორინგი. ინსტრუქციის თანახმად გათვალისწინებულია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნაც, რომლის მიზანია მოიპოვოს ინფორმაცია თითოეული კატეგორიის მიხედვით სამი ძირითადი მიმართულებით:

- არსებული სტატუსის დაფიქსირება;
- პრობლემების იდენტიფიცირება/პროგნოზირება;
- პრობლემების გადაჭრის/პრევენციის ალტერნატიული გზების შემუშავება.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დაკვირვება განხორციელდება მოდულის მოცულობის შესაბამისად, თუმცა, არანაკლებ ერთხელ თითოეული მოდულისათვის;

დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით, გამოიყენებს კითხვარებს: საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი; პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგის დადასტურების პროცესის შემოწმების კითხვარი; ადმინისტრაციის კითხვარი, პროგრამის განმახორციელებელი პირების კითხვარი.

ხარისხის მართვის ინსტრუქციაში მოცემულია სქემა, თუ რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, რა სიხშირით, რა არის მათი შესრულების ინდიკატორი/მტკიცებულება.

საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობის დაწყებამდე შპს „Beauty Life“-ის (რომელიც დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციას წარმოადგენს) მიერ ჩატარებულია ბაზრის კვლევა(15 მარტი 2019), წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ადგილობრივ ბაზარზე, თმისა და სილამაზის სფეროში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების არსებობის საჭიროების და კვალიფიციური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტების მომზადების აუცილებლობის დადგენას. შემოწმდა 600 სალონი.

ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრისას დადგინდა, რომ მისია, საგანმანათლებლო პროგრამები და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია მათი ჩართულობით. პროგრამის განმახორციელებელ პირებს ჩაუტარდათ ორი საინფორმაციო ტრენინგი მოდულური პროგრამების განხორციელების თავისებურებებსა და პრინციპების შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 13.02.2019 წლის #1-11 ბრძანებით დამტკიცებული, ხარისხის მართვის ინსტრუქციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით;
- ტრენინგზე დასწრების ფურცლებით.
- ბაზრის კვლევის მასალებით და ანალიზით

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;


**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



შპს „კეონი აკადემიას“ საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციისათვის იჯარის ხელშეკრულებით ფლობს 377,9 კვადრატული მეტრ ფართს, რომელიც სრულად შეესაბამება იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას. მართალია ფართი არ აღემატება 400 კვადრატულს, თუმცა „კეონი აკადემიას“ არ არღვევს სტანდარტს, რადგან დაწესებულება არ გეგმავს 80 -ზე მეტი პროფესიული სტუდენტის მიღებას.

დაწესებულებას საავტორიზაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის გაფორმებული ჰქონდა ორი იჯარის ხელშეკრულება:

1. იჯარის ხელშეკრულება შპს „Beauty Life“-თან 2019 წლის 1 აპრილიდან 2026 წლის 1 აპრილამდე, რომლის თანახმად იგი იყენებს 43 კვადრატულ მეტრს (საკადასტრო კოდი [redacted]), მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის # 20 დ, შენობის მესამე სართულზე, სადაც განლაგებულია კოლეჯის ადმინისტრაცია.
2. იჯარის ხელშეკრულება შპს „გლობალ ფარმთან“, რომლის თანახმად 2019 წლის 1 აპრილიდან 2026 წლის 1 აპრილამდე განკარგავს 334.9 კვადრატულ მეტრს, მისამართზე: ქ. თბილისი ქავთარაძის # 20 დ, საკადასტრო კოდით [redacted], სადაც განლაგებულია კოლეჯის ყველა ტიპის სასწავლო გარემო, ბიბლიოთეკა, გასახდელები პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარული კვანძები (მათ შორის ადაპტირებულიც), სამასწავლებლო, პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, დამხმარე სასაწყობე ფართი.

ვიზიტის დროს, კეონი აკადემიის იურისტმა გვაცნობა, რომ საიჯარო ფართზე 334.9 კვადრატულ მეტრი მისამართზე: ქ. თბილისი, ქავთარაძის # 20 დ, საკადასტრო კოდით [redacted] შეიცვალა ფართის მესაკუთრე. მესაკუთრე გახდა შპს „Beauty Life“, ხოლო კოლეჯთან დადებული საიჯარო ხელშეკრულების პირობები დარჩა უცვლელი, რაც დასტურდება შეთანხმებით და საჯარო რეესტრის ამონაწერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	ერთ მისამართზე: ✓ქ. თბილისი ქავთარაძის # 20 დ პირველ სართულზე -სასწავლო სივრცე 334 მ ✓ქ. თბილისი ქავთარაძის # 20 დ მეორე სართულზე -ადმინტრაციული სივრცე 43 მ 2	საერთო ფართი 377,9 მ 2

იჯარის ხელშეკრულებები გატარებულია საჯარო რეესტრში და ასახულია ამონაწერებში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან- საკადასტრო კოდით [redacted];
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებული 24.06.2019 საკადასტრო კოდით [redacted];
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან- საკადასტრო კოდი [redacted];
- აზომვითი ნახაზით;
- შპს „Beauty Life“-თან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით;
- შპს „გლობალ ფარმთან“ იჯარის ხელშეკრულებით;
- შეთანხმება #11 2019 წლის 21 მარტის საიჯარო ხელშეკრულების შესახებ.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

სასწავლო ფართი მოიცავს:

**1. A, B გარემო**

- ✓ პროექტორი/ეკრანი 1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი(ლექტოპი) 1ც;
- ✓ პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (ლექტოპი) 20ც;
- ✓ ფლემ-მეხსიერება 3 ც;
- ✓ მაგიდა-5 ადგილიანი 4 ცალი;
- ✓ სკამი-20 ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- ✓ დაფა-1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1ც

2. **A გარემო**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი 1ც;
- ✓ პროექტორი 1ც ;
- ✓ მაგიდა- 3 ადგილიანი 7 ცალი;
- ✓ სკამი -21ც ;
- ✓ დაფა-1 ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1ც

3. **C1 გარემო (თმის მომსახურება)**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი 1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა (სპეც) სკამით- 1ც;
- ✓ პროექტორი 1ც (მოძრავი);
- ✓ კომპლექტი: სარკე+ურიკა-10 ც;
- ✓ სკამი გამართული საზურგეთით-10ც;
- ✓ დასაჯდომი სამუშაო სკამი- 2ც;
- ✓ დაფა 1ც;
- ✓ თავსაბანი 2ც;
- ✓ კლიმაზონი 1 ც;
- ✓ მანეკენი (თმაზე სამუშაოდ)10 ც;

4. **C2 გარემო (ფრჩხილის მომსახურება )**

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი 1ც;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა (სპეც) სკამით- 1ც;
- ✓ პროექტორი 1ც (მოძრავი);
- ✓ პროფესიული სტუდენტის მაგიდა 5 ადგილიანი 4 ცალი;
- ✓ სპეც. სკამი 20+8;
- ✓ დაფა 1ც;
- ✓ პედიკურის სავარძელი 4ც;
- ✓ სტერილიზატორი 1ც;
- ✓ შესაფუთი აპარატი 1ც;
- ✓ ულტრაიისფერი კარადა 1ც;
- ✓ გელის საშრობი აპარატი 2ც;
- ✓ პარაფინის აპარატი 1ც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)





5. ბიბლიოთეკა
6. გარდერობი(გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის) პროფესიული სტუდენტებისათვის, სადაც მოთავსებულია ინდივიდუალური კარადები პირადი ნივთებისა და სამოსის შესანახად, დასაჯდომი გრძელი სკამი.
7. სანიტარული კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის) ცალ-ცალკე, ასევე დამოუკიდებელი ადაპტირებული წერტილი)
8. სამასწავლებლო, სადაც განლაგებულია მაგიდა და სკამები.
9. პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, სადაც არის პირველად დახმარების ნივთები, სამედიცინო მაგიდა („ტაფჩანი“)
10. დამხმარე სასაწყობე ფართი.

ცხრილში მოცემულია სხვადასხვა დანიშნულების სასწავლო და დამხმარე სივრცეების ფართობი

#	გარემო	კვ.მეტრი
1	A	45
2	სამასწავლებლო	18,11
3	C	69,24
4	AB	32,7
5	დერეფანი	55,98
6	C	50,98
7	დერეფანი	4,33
8	ბიბლიოთეკა	21,02
9	WC	6,6
10	WC	2,72
11	WC	2,72
12	სამედიცინო პუნქტი	9,8
13	გარდერობი	7,3
14	გარდერობი	7,4

ყველა ფართი უზრუნველყოფულია ბუნებრივი განათებითა და ცენტრალური ვენტილაცია-გათბობის სისტემით, ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებით და სიგნალიზაციით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საინვენტარო წიგნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)





**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ფართი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის ყველა აუცილებელ გარემოს: არის ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობა-ვენტილაციის სისტემა. სასწავლო გარემო გარემონტებულია და მოწყობილია ევროპული სტანდარტების შესაბამისად, აქვს ბრენდის შესაბამისი დიზაინი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ელექტროენერჯისა და გაზის გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით.

**შეფასება:**


- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია



**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ბიბლიოთეკის მუშაობას არეგულირებს შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-16 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ძირითად სასწავლო სივრცეში. ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (მოდულებში) მითითებულ ლიტერატურას. წიგნადი ფონდი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც აკინძულია, გვერდები დანომრილია და დალუქულია საქმისწარმოების წესის მიხედვით. საინვენტარო წიგნში აღრიცხულია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული რესურსი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დგას კომპიუტერი, კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), ბიბლიოთეკაში შემუშავებულია და დაბეჭდილია მკითხველის ბარათები.

ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული წიგნადი ფონდი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-16 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულებით;

- დაწესებულების ვებგვერდით: <https://keuneacademy.ge>

შეფასება:

ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

**რეკომენდაცია:**

- o სასურველია ელექტრონული წიგნები თითო ეგზემპლარის დაცული იყოს ბიბლიოთეკაში ამობეჭდილი სახით

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, დაწესებულების მართვაში. ამისათვის დაწესებულების სასწავლო გარემო (24 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის) და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა კაბინეტები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით(6 კომპიუტერი). დაწესებულებაში არის უსადენო ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კოლეჯს შპს “მაგთიკომთან“ 2018 წლის 06 ნომბრიდან გაფორმებული აქვს ინტერნეტ /IPTV/VOIP მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება, ასევე ინტერნეტ-მომსახურების შეკვეთისა და ITPV მომსახურების შეკვეთის ფორმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საკომუნიკაციო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- o ვიზუალური დათვალიერებით;
- o შესყიდვის დოკუმენტაციით;
- o გადახდის ქვითრებით;
- o შპს “მაგთიკომთან“ (2018 წლის 06 ნომბერი) გაფორმებული ინტერნეტ /IPTV/VOIP მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „კეონი აკადემიის“ საქმისწარმოების წესი რეგულირდება დირექტორის 2019 წლის 13 თებერვალს #1-12 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი გარემოება, მოხდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან.

დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით აკადემიაში არსებობს:

1. აკადემიის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი N1 (საკადრო);
2. აკადემიის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი N2 (საერთო);
3. შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი N3;
4. გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი N4;
5. შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი N5
6. მომსახურების ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი N6;
7. სტუდენტთან (კანონიერ წარმომადგენელთან) დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი N7;
8. სხვა სახის ხელშეკრულებების/მემორანდუმების (ოქმი) სარეგისტრაციო ჟურნალი N8.

დაწესებულებაში ყველა ჟურნალი დანომრილია, აკინძულია და დამუშავებულია, გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს დირექტორის 2019 წლის 13 თებერვალს #1-12 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- o შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 13.02.2019 წლის #1-12 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესით;
- o ვიზუალური დათვალიერებით
- o პირადი გასაუბრებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა:

დაწესებულებას ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილი აქვს - შპს „კონი აკადემის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-18 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში“. ასევე, კოლეჯის ტერიტორიაზე გამოკრულია სათანადო წესით შედგენილი საევაკუაციო გეგმები (ყველა გასასვლელთან, ყველა სართულზე). დაწესებულების ფართში განთავსებულია ევაკუაციის დროს საჭირო მინიშნებები.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიის შენობაში ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ცეცხლმაქრები, რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად. ინვენტარის განთავსების ადგილები აღნიშნულია სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი ნიშნებით. შენობაში განთავსებულია ხანძრის დეტექტორები. სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი აკონტროლებს ცეცხლმაქრი მოწყობილობების ვარგისიანობის ვადებს. შენობას აქვს ორი შესასვლელი.


დაწესებულებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო) ჩატარებული აქვს ფართის მდგომარეობის შეფასება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმებთან, ტექნიკური რეგლამენტთან მიმართებაში.



შენობა, რომელშიც განლაგებულია კოლეჯი, აშენებულია სეისმური მოთხოვნების დაცვით.

- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

აკადემიაში არსებობს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და მედიკამენტებით;

„პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის“ შესაბამისად აკადემია უზრუნველყოფს სამედიცინო პუნქტის პერიოდულ მომარაგებას პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით. პირველადი სამედიცინო დახმარებას, აუცილებლობის შემთხვევაში, ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:  

(თბილისი, 2019)

შპს „Beauty Life“-ის (იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად) მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით;

აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართი აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე. აკადემიის სასწავლო ფართის დაცვა ხორციელდება 24 საათის განმავლობაში, ვიდეო მეთვალყურეობით მეშვეობით.

„პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესში“ გაწერილია დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტის ვალდებულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია სრულად ადაპტირებულია, დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს დახმარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის ტერიტორიაზე მათი შეუფერხებელი და კომფორტული გადაადგილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-18 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესით;
- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 10.01.2019 წლის #1-02 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნით;
- დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ცეცხლმაქრების შეძენისა და დამუხტვის დოკუმენტაციით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ორივე შესასვლელი არის ადაპტირებული, აქვს სტანდარტის შესაბამისი დახრა. ყველა სივრცეში, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად უზრუნველყოფილია შეუფერხებელი შეღწევა შშმ პირებისათვის. შენობაში ასევე არის მოქმედი ორი ლიფტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



სრულადაა ადაპტირებული სანიტარული კვანძი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 22.01.2019 წლის #1-07 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით
- შპს „კეონი აკადემის“ დირექტორის მიერ 25.02.2019 წლის #1-08 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის წესით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი** ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი [www.keuneacademy.ge](http://www.keuneacademy.ge), რომელიც გამოირჩევა ძალიან დახვეწილი დიზაინით. ვებ-გვერდი ორენოვანია: ქართული და ინგლისური. ორივე ენაზე სრულადაა მოცემული ინფორმაცია. ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა), პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესაბამისი ბმულები, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ.

ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2019 წლის კატალოგი(<https://keuneacademy.ge/images/catologue.pdf>).

ვებ-გვერდზე ინფორმაცია განახლებადია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებგვერდით: [www.keuneacademy.ge](http://www.keuneacademy.ge)
- <https://keuneacademy.ge/images/catologue.pdf>

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დასამოქმედო გეგმის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის 11.02.2019 წლის #1-09 ბრძანებით), რომლის შესაბამისად შემუშავებულია განვითარების ექვსწლიანი გეგმა (2019-2026) და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კონი აკადემის“ დირექტორის მიერ 11.02.2019 წლის #1-09 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით და სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით (2019-2026) და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით;
- შპს „Beauty Life“ ის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის მოკვლევით, პროგრამების „თმის მომსახურება“ და „ფრჩხილის მომსახურება“ განხორციელების დიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას თმისა და სილამაზის მომსახურებაში;
- დაწესებულების მისიით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

შპს „კონი აკადემის“ დირექტორის მიერ 22.01.2019 წლის #1-07 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში, მუხლი მე-5 გაწერილია აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულების პერსონალის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დადგინდა, რომ ყველა აკმაყოფილებს დაწესებულების დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 22.01.2019 წლის #1-07 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით;
- პერსონალის პირადი საქმეებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „თმის მომსახურება“ და „ფრჩხილის მომსახურება“ განახორციელებს 42 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც მოცემულია სავალდებულო ზოგადი და საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების გვარი, სახელი, კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-17 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების წესით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

შპს „კეონი აკადემიაში“ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პირობები გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-17 ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების წესით“; პროგრამის განმახორციელებელი პირები შერჩეული არიან დაწესებულების წესის შესაბამისად, მათი პირადი საქმეებიც წარმოებულია ამავე წესის მიხედვით. მათთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, სადაც ასახულია ძირითადი პირობები: რომელი პროგრამის რომელ მოდულებს განახორციელებს პირი, სად მოხდება განხორციელება, კრედიტების რაოდენობა და სხვა. რიგი ადმინისტრაციის თანამშრომლები ბრძანებით არიან დანიშნული პროგრამის განმახორციელებელ პირებად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- შპს „კეონი აკადემიის“ დირექტორის მიერ 18.02.2019 წლის #1-17 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების წესით;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან გაფორმებული მომსახურების/ შრომითი ხელშეკრულებებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით.

**შეფასება:**

- ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



**VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია**

ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები	სტუდენტთა რაოდენობა აქტობრივი მისამართების მიხედვით	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	თმის მომსახურება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	თბილისი ქავთარაძის # 20 დ	-	40
2	ფრჩხილის მომსახურება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	50	65	ქართული	თბილისი ქავთარაძის # 20 დ	-	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)



## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. ვიზიტის ოქმი

დანართი 3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადებული 24.06.2019 საკადასტრო კოდით 14.03.040.356.01.02.001

დანართი 4. შეთანხმება 11 2019 წლის 21 მარტის საიჯარო ხელშეკრულების შესახებ.

1.08.2019

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

